თბილისის არქიტექტურა

ბრძანება № 5178

" 19 " 12 2011

ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.პ. არქიტექტურის სამსახურის
2011 წლის 1 აპრილის №01/653 ბრძანებასა და №6/688-1 სანებართვო მოწმობაში
მშენებლობის დასრულების თარიღში ცვლილების შეტანის შესახებ

ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.პ არქიტექტურის სამსახურის მიერ 2011 წლის 1 აპრილს №01/653 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში ძველი თბილისის რაიონში (სექტორი – მთაწმინდა), თაბუაშვილის ქ. №33-ში შ.პ.ს. „სენტა პეტროლიუმი"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე საოფისე შენობის ფასადის რეკონსტრუქციის არქიტექტურული პროექტი და გაიცა №6/688-1 მშენებლობის სანებართვო მოწმობა.

2011 წლის 12 დეკემბერს №12/169031-13 განცხადებით მოგვმართა შ.პ.ს. „ოაზისი-9"-ს წარმომადგენელმა გიორგი ამირანაშვილმა რომელიც ითხოვს მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელების მიზნით 2011 წლის 1 აპრილს №01/653 ბრძანებასა და №6/688-1 სანებართვო მოწმობაში მშენებლობის დასრულების თარიღში ცვლილებების განხორციელებას.

ამასთან შეიცვალა ფართის მესაკუთრე და ნაცვლად შ.პ.ს. „სენტა პეტროლიუმი"-სა ფართის მესაკუთრეს წარმოადგენს შ.პ.ს. „ოაზისი 9".

სამსახურმა განცხადების განხილვის შედეგად გადაწყვიტა, რომ მოთხოვნა საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №140-ე და 2009 წლის 23 მარტის №57 დადგენილების 57-ე მუხლის მე-3 პუნქტის, და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. შეეცვალოს ცვლილება ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.პ. არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 1 აპრილის №01/653 ბრძანებასა და №6/688-1 სანებართვო მოწმობაში, კერძოდ, „ძალაშია 5 იანვრამდე 2012 წ.", შეიცვალოს „ნებართვა ძალაშია 2013 წლის 5 იანვრამდე";
2. დამკვეთად ნაცვლად შ.პ.ს. „სენტა პეტროლიუმი" დაფიქსირდეს შ.პ.ს. „ოაზისი-9";
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.პ. არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 1 აპრილის №01/653 ბრძანებასა და №6/688-1 მშენებლობის სანებართვო მოწმობასთან ერთად;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მის. ქ. თბილისი, ჯ. შარტავას ქ. №7) ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ძველი თბილისის სანებართვო
განყოფილების უფროსი